თქვი: ღმერთო ჩემო, მაკმარე შენი ნებადართული და შორს მამყოფე აკრძალულისგან, მომეცი სარჩო შენი წყალობით და ნუ დამტოვებ ნურავის იმედად შენს გარდა

გადმოცემულია ალი იბნ აბი ტალიბისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მასთან მოვიდა მონა, რომელიც გათავისუფლებაზე შეთანხმდა და უთხრა: «ვერ ვახერხებ ჩემი გათავისუფლების შეთანხმების პირობების შესრულებას, დამეხმარე». ალიმ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უპასუხა: «არ გინდა გასწავლო ისეთი სიტყვები, რომლებსაც ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მასწავლიდა, თუნდაც შენზე სირის მთის ოდენა ვალი ყოფილიყო, ალლაჰი დაგეხმარებოდა მის გადახდაში?» შემდეგ მან თქვა: «თქვი: ღმერთო ჩემო, მაკმარე შენი ნებადართული და შორს მამყოფე აკრძალულისგან, მომეცი სარჩო შენი წყალობით და ნუ დამტოვებ ნურავის იმედად შენს გარდა».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

მართლმორწმუნეთა მმართველთან, ალი იბნ აბუ ტალიბთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), მივიდა მონა, რომელმაც თავის ბატონთან დადო შეთანხმება, რომ გადაიხდიდა თანხას და გათავისუფლდებოდა მონობიდან. თუმცა, მას არ ჰქონდა საკმარისი საშუალება, რომ ეს თანხა გადაეხადა. მაშინ მან უთხრა: მე ვერ შევძელი გადამეხადა რაც მეკუთვნის და დამეხმარე ვალის გასტუმრებაში, ან მასწავლე და მაჩვენე როგორ მოვიქცე, მაშინ მორწმუნეთა მბრძანებელმა უთხრა: არ გინდა გასწავლო სიტყვები, რომელიც მე მასწავლა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ გქონდეს სირის სახელწოდებით ცნობილი მთის, რომელიც ტაის გვარის ხალხს ეკუთვნის ტოლი ვალები, ალლაჰი გაისტუმრებს შენს მაგივრად, დაუბრუნებს მას ვისაც ეკუთვნის, და გიხსნის შენ მისი ჩაგვრისგან, 'ალიმ თქვა: შუამავალმა თქვა: (ღმერთო ჩემო მაკმარე) შორს მამყოფე და დამაშორე (შენი ნებადართულით) მაკმარე ის, (შორს მამყოფე აკრძალულისგან) ნუ ჩამაგდებ აკრძალულ ქმედებებში, (მომეცი სარჩო) მაკმარე, (შენი წყალობით) შენი ხელგაშლილობით (ნურავის იმედად დამტოვებ შენს გარდა) ქმნილებათა შორის.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5884